ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №453656

ნომერი: AR185921

თარიღი : 26.11.2012

გაცემის თარიღი : 03.12.2012

გაცნობის თარიღი : 03.12.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქ.წამებული , /ბოჭორმის ქ. N50/18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა მაზანაშვილი პ/ნ 01029001774
- თბილისი ოცხელების ქ. N 25ა ბ. 54

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63–ე მუხლის, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონის და ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში ქეთევან წამებულის /ბოჭორმის ქ. #50/18–ში

არსებული 4691 კვ.მ მიწის ნაკვეთის გეგმაში ცვლილების შეტანას გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ,,ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს ვინაიდან რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01,17,13,041,010) საჯარო რეესტრში რეგისტრაციას არ უდევს საფუძვლად უფლების დამდგენ დოკუმენტად ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ მომზადებული არცერთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. შესაბამისად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ცვლილება შეიტანოს და დააკორექტიროს მიწის ნაკვეთის ის საზღვრები, რომლებიც მას არ დაუდგენია და აღნიშნულის თაობაზე არ გამოუცია ადმინისტრაციული აქტი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

აქვე განგიმარტავთ, რომ საკითხის განხილვისათვის და ქალაქგეგმარებითი დასკვნის მისაღებად, საჭიროა ხელახალი მოთხოვნით შეავსოთ განაცხადი ქალაქგეგმარების ნომენკლატურაში, ,,ქალაქგეგმარებითი დასკვნის" ველში.

შენიშვნა: ნომენკლატურის შეცვლა შეგიძლიათ ამავე განაცხადის გვერდზე.

გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემის ცხელ ხაზს. ტელ: 2 37 83 46

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.